

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ელისო ჭიჭინაძის მიერ გაწეული მუშაობის  
თაობაზე ანგარიშის მოსახლეობისთვის წარდგენის  
სხდომის ოქმი №1

ქ.ლანჩხუთი

15 ოქტომბერი 2015 წელი

**მუნიციპალიტეტის დასახელება:** ლანჩხუთი

**ადმინისტრაციული ერთეული:** ლესა

**შეხვედრის თარიღი:** 15.10.2015წ; 11:00სთ.

**შეხვედრას ესწრებოდნენ:** ლესის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი ელისო ჭიჭინაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ნონა მურვანიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ჯუმბერ ბლაგიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო მიძიგური, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია.

საკრებულოს წევრი, ლესის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი ელისო ჭიჭინაძე მიესალმა ადგილობრივ მოსახლეობას, მოწვეულ სტუმრებს და მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის. დეპუტატმა სოფლის მოსახლეობას ერთწლიანი მუშაობის შედეგების თაობაზე ანგარიში წარუდგინა, მოისმინა მათი შეკითხვები, მოსაზრებები და არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე მაქსიმალურად ამომწურავად გასცა მათ კითხვებს პასუხები.

დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ ანგარიშის ფარგლებში ყურადღება გაამახვილა როგორც გასაკეთებელ, ისე გაკეთებულ საქმეებზე. კერძოდ აღნიშნა, რომ სტიქიით გამოწვეული ზარალის სალიკვიდაციოდ ადგილობრივი ბიუჯეტიდან ლესის ადმინისტრაციული ერთეულისთვის გამოიყო 119 000 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 48 000 ლარი, 2015 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების კუთხით სოფელს დაფინანსება არ მიუღია.

სტიქიით გამოწვეული ზარალის სალიკვიდაციო თანხით სხვადასხვა კუთხეში გაკეთდა ხიდები, მილხიდები, გაბიონები, მოიხრემა გზა. რაც შეეხება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილ თანხას, სოფლის კრების შედეგად განსაზღვრული პრიორიტეტებიდან გამომდინარე 28 000 ლარით ადმინისტრაციული შენობის სახურავი გამოიცვალა, მოხსნილი, მეორადი შიფერი შემოსული განცხადებების საფუძველზე სახლის სახურავის შესაკეთებლად გადაეცა 5 შეჭირვებულ ოჯახს. ეკონომიის თანხით სოფლის სხვადასხვა ადგილას, კერძოდ ე.წ. ბაზრის ცენტრში, რკინიგზის სადგურის გასწვრივ, ჭინათის ასავალში მოიხრემა გზა, გაიწმინდა არხები, ზემო ჭინათში მოწესრიგდა გზის გარკვეული მონაკვეთი, ჩამოსხა ბეტონის მილხიდები. მოსახლეობის მოთხოვნით, მიმდინარე წელს სოფლისთვის გამოიყო 7 ნავის ურნა. დეპუტატი იმედოვნებს, რომ 2016 წელს ურნები დაემატება სოფელს.

სოფელ ლესაში არის საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლი „იმედის სხივი“, დეპუტატს აღსაზრდელებთან ინტენსიური, მეგობრული ურთიერთობა აქვს, პოეტ ზურაბ სალუქვაძის დახმარებით

შეუძინეს დივიდი. დეპუტატი აღსაზრდელების სურვილისამებრ ყიდულობს საჩუქრებს, ასეთივე ურთიერთობა აქვს საბავშვო ბაღის აღსაზრდელებთან, მიაქვს სხვადასხვა სათამაშოები, მაგალითად: ასაწყობი სათამაშოები და კონსტრუქციები, ფერადი ფურცლები, ფლომასტერები, მანქანები და სხვა.

აქვე აღნიშნა, რომ მთავარი პრობლემა ბავშვების ტრანსპორტირებაა, სკოლაში მისვლამდე 6-8 კმ-ია და ამ მანძილის გავლა ფეხით ავდარში შეუძლებელია. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მხარდაჭერითა და დახმარებით პრობლემა მოგვარებული იყო, თუმცა დღესდღეობით ისევ ამ პრობლემის წინაშე დგას მოსახლეობა. რაც შეეხება შენობას, 2016 წელს აღსაზრდელებს ახალი, გარემონტებული საბავშვო ბაღი ექნებათ.

დეპუტატმა აღნიშნა, რომ იგი ცდილობს რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად შემოსულ განცხადებებზე მყისიერი რეაგირება მოახდინოს, ამასთანავე ე.წ ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახები ითხოვდნენ დახმარებას, რადგან ყველა წვიმიან ამინდში მათი ეზოები იტბორებოდა, დეპუტატმა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ბესიკ ტაბიძის დახმარებით მოახდინა დაკავშირება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს და გაიწმინდა არხები, გაკეთდა მილხიდი. დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში მოწვეული იყო გეოლოგთა ჯგუფი მეწყერსაშიში ადგილების შესწავლის მიზნით, ერთ-ერთი დასკვნის საფუძველზე დადგინდა, რომ ლესაში მცხოვრები შაქრო შაინიძის ოჯახს აქვს მძიმე საცხოვრებელი პირობები, მაგრამ ამ ეტაპზე მისი ფართით უზრუნველყოფა ვერ ხერხდება.

ელისო ჭიჭინაძემ ყურადღება გაამახვილა ძირითად პრობლემებზე, რომელიც ეხება წყლის პრობლემას სოფელში, აქვე იმედი გამოთქვა, რომ 2016 წელს პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრება, სოფლის მცხოვრებნი უწყლოდაა დარჩენილი, სათავე ნაგებობა ავარიულ მდგომარეობაშია, დაზიანებულია მიწები, გამგეობის დახმარებით შემენილ იქნა ცენტრალური გადასართველის ჩამკეტი, შეკეთდა წყლის გამტარი მიწები. წყლის პრობლემა ასევე აწუხებს რკინიგზის გასწვრივ მოსახლეობას. დეპუტატმა იმედი გამოთქვა, რომ წყლის პრობლემა მისი დეპუტატობის პერიოდში მოგვარდება.

სოციალურ პროგრამებში მოქალაქეთა ჩართვას რაც შეეხება, დეპუტატმა მიუთითა 5 ოჯახი, აქედან 2 ოჯახი, მურმან შაინიძის და არჩილ და მიმოზა ბეჟანიძეების ოჯახი სარგებლობს ქირავნობის პროგრამით, კოტე წილოსანის ოჯახს კი გამგეობა დაეხმარა 1 000 ლარით, რომელიც მისი ოჯახისთვის მცირედი შეღავათია. წლის მანძილზე ერთჯერადი ფულადი სახით დახმარებისთვის სოფლის 26 მცხოვრებს გაეწია დახმარება, ამ ადამიანებისთვის ეს მიზერული 150 თანხაც კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. 3 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი კი დაკმაყოფილდა ეტლით, ამჯერად 2 ადამიანი დასაკმაყოფილებელია და საბუთების მოწესრიგების შემდეგ ისინიც უზრუნველყოფილნი იქნებიან. შეჭირვებულ ოჯახებს დეპუტატი გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად სისტემატიურად ეხმარება სურსათით.

აღსანიშნავია, რომ დახმარება გაეწია პატარა გეგა ჩხარტიშვილს, დეპუტატმა გარკვეული წვლილი შეიტანა მისი სიცოცხლის გადარჩენისთვის. სოფელში ჩამოყალიბდა ტრადიცია, როცა 8 მარტს საჩუქრით და მისალოცი ბარათებით 85 წელს გადაცილებულ ქალბატონებს ულოცავენ ქალთა დღეს. გამგეობის შესაბამისი სამსახურის დახმარებით სოფლის პატარა მოცეკვავეებს, „ნიჭიერის“ კონკურსის მონაწილეებს თეკლა და ლუკა გოგუაძეებს მიეცა დაფინანსება 600 ლარით.

რაც შეეხება ავტობანთან დაკავშირებულ მდგომარეობას, დეპუტატი დაპირდა მოსახლეობას, რომ აქტიურად მიღებს მონაწილეობას და მაქსიმალურად ეცდება შედეგის მიღწევას, სადაც მოსახლეობის ინტერესები იქნება უპირატესად გათვალისწინებული, სწორედ ამიტომ დეპუტატი არის სამუშაო ჯგუფის წევრი, რომელიც შექმნილია საკრებულოში აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით.

სტიქიის შედეგად დაზარალებულების აღრიცხვა დეპუტატის მიერ კარდაკარ მოხდა, უმეტესობა დაკმაყოფილდა და იმედს გამოთქვამს დარჩენილი ნაწილიც დაკმაყოფილდებაც მალე მოხდება, თუმცა აღსანიშნავია 8 ოჯახი, რომლებიც მოწყვეტილია სოფელს და ელემენტარული ექიმთან მათი მისვლა ვერ ხერხდება, გამგეობის სამსახურები სწავლობენ ამ საკითხს და ცდილობენ უახლოეს მომავალში მოსახლეობის ხიდით დაკმაყოფილება მაინც მოხდეს.

დეპუტატმა აღნიშნა რამოდენიმე ოჯახი, რომელთა მდგომარეობა მეტად მძიმეა, კერძოდ დათო კომახიდის და ალევო დარჩიას სახლის უკან მდინარემ წაიღო მიწის ნაკვეთები, აუცილებელია გაბიონები, უამრავი შენობა-ნაგებობა დანგრევის პირასაა სოფელში, საჭიროებს შეკეთებას.

რაც შეეხება საკრებულოს სხდომებზე ელისო ჭიჭინაძის საქმიანობას, იგი აქტიურადაა ჩართული, მის მიერ არაერთი საჭირობო და მწვავე საკითხის დაყენება მოხდა საკრებულოს სხდომაზე, ერთ-ერთი იყო ბოლო სესიაზე გიორგი ლომიძის ომისა და ვეტერანთა დახმარების პროგრამიდან ამოღების საკითხი, დეპუტატი იმედს გამოთქვამს, რომ 2016 წლის ბიუჯეტში აღნიშნული პრობლემა აღარ იარსებებს.

#### **შეხვედრამ კითხვა-პასუხის რეჟიმში ჩაიარა:**

**სოფლის მცხოვრებმა ელმილე სულაბერიძემ** მაძლობა გადაუხადა სოფლისთვის გაწეული მუშაობისთვის და აღნიშნა, რომ ე.წ ბასეინი შეუღობავია, გარე განათება არის გასაკეთებელი სოფელში.

**დეპუტატმა, ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა რომ 2016 წელს პრობლემის მოსაგვარებლად მიმდინარეობს მოლაპარაკებები.

**ზემო ჭინათში მცხოვრებმა გურამ ბოლქვაძემ** აღნიშნა, რომ 22 ბავშვი საბავშვო ბაღში მისასვლელად 6-8 კმ-ს ფეხით გადის, არ არის ტრანსპორტი და უამინდობის დროს მათი ტრანსპორტირება შეუძლებელია. ასევე მწვავედაა პრობლემა ტყე-კაფვასთან დაკავშირებით.

**ზემო ჭინათის მცხოვრებმა ზურაბ ბოლქვაძემ** ისაუბრა, რომ ზემო ჭინათში მეწყერია ჩამოწოლილი, გზა დაღვარულია და სასწრაფოდ ზომებია მისაღები.

**რუსუდან გოგუაძემ** წყლის პრობლემაზე ისაუბრა და მზადყოფნა გამოთქვა მისი სახსრებით შეიძინოს მიწები და მაქსიმალურად წვლილი შეიტანოს მის მოგვარებაში, ისაუბრა მეზობლის, ასევე სოფელ ლესაში მცხოვრებ ჯონი სარჯველაძის პრობლემაზე, რომელისაც უკედირესად მძიმე მატერიალური მდგომარეობა აქვს.

**დიმიტრი ბერიძემ** დეპუტატს მაძლობა გადაუხადა ხალხთან აქტიურად თანამშრომლობისთვის და ყურადღებისთვის. მისი თქმით, აუცილებელია რკინიგზასთან ბაქნის მიმდებარედ გარე განათების მოწყობა და რამდენიმე სკამის განთავსება.

**საკრებულოს წევრი, ჯუმბერ ბლაგიძე** მიესალმა მოსახლეობას, მზადყოფნა გამოთქვა მათი პრობლემების მოგვარებაში მაქსიმალურად შეიტანდა წვლილს და ისაუბრა დეპუტატის როლზე საკრებულოში, რომელიც უფრო შუალედურ რგოლს ასრულებს მოსახლეობასა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის, მან აღნიშნა, რომ პრობლემები ყველა სოფელში ერთგვაროვანია, ავტობანს რაც შეეხება ურჩია ცენტრალურ ხელისუფლებას რომ არ მიიღოს რადიკალური გადაწყვეტილებები.

საკრებულოს წევრი, ნონა მურვანიძე მიესალმა საზოგადოებას და აღნიშნა ლესის დეპუტატის წვლილი სოფლის პრობლემების მოგვარებაში, მათ გვერდით დგომა და დახმარება დაპირდა.

დეპუტატმა მადლობა გადაუხადა სოფლის მოსახლეობას, იმ ნდობისთვის, რომელმაც მიანიჭა დეპუტატის მანდატი, მოსახლეობას დაპირდა გვერდში დგომას და მხარდაჭერას, ის თითოეული მცხოვრებლის პრობლემების მოგვარებაში თავის წვლილს შეიტანს. მოსახლეობამ დეპუტატს მადლობა გადაუხადა სოფლის მხარდაჭერისთვის. იმედი გამოთქევს, რომ მათი პრობლემები უახლოეს ხანში მოგვარდება ადგილობრივი თვითმმართველობის და მუნიციპალიტეტის მხრიდან.

ლესის ადმინისტრაციული ერთეულის  
მაჟორიტარი დეპუტატი

ელისო ჭიჭინაძე

